თემა 7. განათლება

თემის შესწავლის შემდგომ თქვენ შეძლებთ:

- *შეაფასოთ განათლებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა*
- *ახსნათ სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციები*
- *დაახასიათოთ განათლების ეკონომიკური პრობლემები*

განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის, და სხვა თვისებების სწავლებისა და განვითარების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო აქტივობა გულისხმობს ცოდნის წარმოებასა და განაწილებას, რომელიც ტარდება რეგულარულად სასწავლო ინსტიტუტებში, დაწესებულებებში ან სხვაგან. აქცენტი ასეთ დაწესებულებებში გაკეთებულია ოფიციალურად მიღებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი სასწავლო პროცესები მიმდინარეობს სხვა ინსტიტუტებშიც, როგორიცაა ეკლესიები, სამხედრო დაწესებულებები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კლუბები, ბიზნეს-ფირმები და სხვა.

განათლების ეკონომიკის ცნება დაკავშირებულია განათლებისა და ეკონომიკის ფუნქციების განხორციელებასთან. იგი არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებს არჩევანს ადამიანი და საზოგადოება ფულადი რესურსებით ან უსასყიდლოდ იმისთვის, რომ გამოიყენოს შეზღუდული რესურსები და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სწავლება, განავითაროს ცოდნა, დახელოვნება, გონება, აზროვნება, ხასიათი და ა.შ., გაანაწილოს სწავლების პროცესში წარმოებული სულიერი და განივთებული დოვლათი და მოიხმაროს იგი ინდივიდისა და საზოგადოების მიზნების შესაბამისად.

ყოველი საზოგადოების წინაშე დგება სწორი არჩევანის გაკეთების აუცილებლობა შეზღუდული საწარმოო და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესახებ სხვადასხვა ტიპის სწავლების უზრუნველსაყოფად. განათლების სისტემის მართვის ცოდნა ხელს უწყობს შემოქმედებითი ხასიათის სოციალური ქმედებების განვითარებას. ეს პროცესი ემყარება განათლების ეკონომიკური ღირებულების, მისი ეკონომიკური შეფასების, მასთან დაკავშირებული რესურსების განაწილების, დაგეგმვისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსების შექმნასა და გამოყენებას.

განათლების ეკონომიკის ობიექტია ყველა სახის ოფიციალური სკოლა, სადაც მიმდინარეობს ცოდნის ფორმირება, მისი გამრავლება და განაწილება მიზნობრივ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის. ამ პროცესების საზოგადოებრივი რეგულირება ხორციელდება განათლებისათვის აუცილებელი ხარჯების გამოყოფით, იმის განსაზღვრით, თუ რამდენი უნდა დახარჯოს საზოგადოებამ ან საგანმანათლებლო მომსახურების მიმღებმა სუბიექტმა ამ საქმიანობაზე და განათლების რომელი სახეობები უნდა იქნეს შერჩეული ცოდნის ეფექტიანი წარმოებისა და მოხმარებისათვის.

განათლება საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგია, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია მის მთლიან შიდა პროდუქტში განათლების სფეროს წილი. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გამოვლინდა ყველა ქვეყნისთვის საერთო ტენდენცია: დანახარჯები განათლების სფეროზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდება მასში დასაქმებულთა და მოსწავლეთა რაოდენობა. ეს, უთუოდ დადებითი მოვლენაა, თუმცა მისი პირდაპირი ეკონომიკური შედეგის დადგენა საკმაოდ რთულია, ვინაიდან იგი მოითხოვს განათლების, როგორც საბოლოო პროდუქტის რაოდენობისა და ხარისხის ცვლილებების ანალიზს და მისი ზეგავლენის შესწავლას ეროვნული განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე.

მთლიანი დანახარჯები განათლების სისტემაში სრულად არ გამოხატავს განათლებაზე ინვესტიციების ცვლილებებს. ამჟამად ფართოდ არის აღიარებული, მაგრამ საკამათოდ რჩება არგუმენტი, რომლის თანახმად, განათლების ხარჯების მნიშვნელოვანი წილი მოდის თვით სასწავლო კონტინგენტის შემონატანებზე, მიუხედავად იმისა, რომ წიგნებსა და სხვა სასწავლო ნივთებზე შესაძლოა არსებობდეს საგადასახადო შეღავათები.

სასწავლო დაწესებულებების განვითარებაზე პასუხისმგებელი სუბიექტია სახელმწიფო, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში ამ პასუხისმგებლობას ინაწილებენ სხვადასხვა დონის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო ინსტიტუტები. სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლი-

ტიკა ხორციელდება ხელისუფლების მიერ, სადაც სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე, განსხვავებულია მათი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები და ზემოქმედების ბერკეტები.

განათლების პროცესი მოიცავს შეზღუდული რესურსების არსებითი ნაწილის გამოყენებას, ამიტომ სირთულეები წარმოიქმნება მის ოპტიმალურ და რაციონალურ განაწილებასთან დაკავშირებით.

განათლებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის არგუმენტებია:

- გარე ეფექტების არსებობა;
- სახელმწიფოს მიერ უმცირესობის უფლებების დაცვა;
- განათლების როლის ზრდა დემოკრატიის განვითარებაში;
- სასტარტო შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა;
- „საერთო ღირებულებების“ დადგენის აუცილებლობა;
- განათლების ეფექტის განსაზღვრა ეკონომიკურ ზრდაზე.

სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციებია:

- განათლების გამოწვევებისა და მიზნების განხორციელება;
- საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა სხვადასხვა დონეებზე;
- განსაზღვრულ ასაკამდე სავალდებულო განათლების მიღების უზრუნველყოფა;
- სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შექმნა;
- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შექმნა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება.

განათლების ეკონომიკური პრობლემები შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად:

1. **განათლების ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა და გაზომვა;**

ინდივიდები და მთლიანად საზოგადოება ღებულობენ გადაწყვეტილებას განათლებაში ინვესტიციების დაბანდების შესახებ. სასურველია, მათი ინვესტიციების ღირებულების გაზომვა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების დანახარჯებისა და განათლებიდან მიღებული სარგებლის შეფასებას.

2. **განათლების რესურსების განაწილება**;

განათლების პროცესი მოითხოვს განათლებიდან მიღებული შედეგების განსაზღვრას მასში დაბანდებული რესურსების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტიანობის დადგენას, რაც ეკონომიკური ანალიზის გზით შეიძლება განხორციელდეს.

3. **განათლების დაგეგმვა;**

განათლება არის განსაკუთრებული ხასიათის პროდუქტი და მასზე ხშირად არ მოქმედებს საბაზრო კონკურენცია. მიუხედავად ამისა, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ დაგეგმვა განხორციელდეს რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით.

4. **ფინანსები;**

ვინ უნდა გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურების საფასური? უნდა გაიღოს თუ არა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების განვითარებისათვის ხარჯები როგორც სახელმწიფომ, ისე კერძო სექტორმა? განათლების ხარჯების რა წილი უნდა გაიღოს სახელმწიფომ და რა წილი უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო მომსახურების მიმღებთ? ამასთან, თუ მიზანშეწონილია სუბსიდიების გამოყოფა განათლების სფეროში, ვინ უნდა მიიღოს იგი უშუალოდ, საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა თუ სტუდენტებმა, და რა ფორმით? ეს შეკითხვები განათლების დაფინანსებას ეხება და ისინი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული გზებით წყდება. ამას ემატება ხელფასების განსაზღვრის პრობლემაც, რომლის გადაჭრაც აუცილებელია საგანმანათლებლო ინსტიტუტების მართვის ეფექტიანად განხორციელებისათვის.

5. ზემოაღნიშნული ყველა პრობლემა გარდამავალ პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებების **საბაზრო რელსებზე გადაყვანასაც გულისხმობს** და განათლების ეკონომიკის სპეციფიკური პრობლემებიც მხოლოდ ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შედეგად წარმოიშვა.

რამდენიმე მიზეზი თუ რატომ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო განათლების სისტემაში? საზოგადოდ განათლებიდან მიღებული სიკეთე პირადულია: განათლებული ადამიანი ნაყოფიერად მუშაობს და შესაბამისად მეტ ხელფასს იღებს. თუმცა, პირადი სარგებლის გარდა განათლებას დადებითი გარე ეფექტებიც ახასიათებს:

1) მცოდნე მოსახლეობა ინფორმირებულ ამომრჩეველს ნიშნავს, ეს კი უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს;
2) მცოდნე მოსახლეობა აუმჯობესებს კრიმინოგენულ სიტუაციას;
3) განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, ეს უკანასკნელი კი ყველას შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასის დონეს აამაღლებს.

ნახაზზე 7.1 ნაჩვენებია, რომ მოთხოვნის მრუდი არ ასახავს პროდუქტის (განათლების) საზოგადოებრივ შეფასებას. იმის გამო, რომ განათლების სოციალური ღირებულება აღემატება კერძოს, სოციალური ღირებულების მრუდი და მიწოდების მრუდი (რაც ღირებულებას ასახავს) გადაიკვეთება. ამდენად, სოციალურად ოპტიმალური რაოდენობა მეტია, ვიდრე კერძო ბაზრის მიერ განსაზღვრული რაოდენობა. ამ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია გამოასწოროს საბაზრო ჩავარდნა ბაზრის მონაწილეების სტიმულირებით, გაითვალისწინონ დადებითი გარე ეფექტი. იმისათვის, რომ საბაზრო წონასწორობა საზოგადოებრივ ოპტიმუმთან დააახლოოს, დადებით გარე ეფექტს სუბსიდირება სჭირდება, სწორედ ამიტომ ახდენს მთავრობა განათლების სფეროს სუბსიდირებას[1]. საზოგადოდ უარყოფითი გარე ეფექტი ბაზრებს სოციალურად მისაღებზე უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტის წარმოებისკენ უბიძგებს. დადებითი გარე ეფექტი ბაზრებს სოციალურად მისაღებზე უფრო ნაკლები რაოდენობის პროდუქტის წარმოებისკენ უბიძგებს. იმისთვის, რომ პრობლემა მოაგვაროს, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს გარე ეფექტები იმ პროდუქტების დაბეგვრით, რომელსაც უარყოფითი გარე ეფექტი მოაქვს და იმის სუბსიდირებით, რომელსაც დადებითი გარე ეფექტი მოყვება (ამ შემთხვევაში განათლებას სუბსიდირება ესაჭიროება).



ნახაზი 7.1. განათლება და სოციალური ოპტიმუმი

საჯარო სკოლების მართვის პრობლემები

კეთილდღეობის ეკონომიკის მიხედვით ჩვენ ვიწყებთ ფუნდამენტური შეკითხვით: რატომ იღებს სახელმწიფო ასეთ ექსტენსიურ პასუხისმგებლობას განათლებაზე იმის ნაცვლად, რომ იგი ბაზარს დაუთმოს? როცა ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანად დოვლათის (პროდუქტის) საჭირო რაოდენობას, მაშინ როდესაც საუბარია საზოგადოებრივ დოვლათზე – წარმოიქმნება გარე ეფექტები.

არგუმენტები, რომლებიც განათლების სფეროში სახელმწიფოს ინტერვენციას ასაბუთებს ეკონომიკის ეფექტიანობას უკავშირდება. კეთილდღეობის ეკონომიკის მიხედვით, გასათვალისწინებელია სწავლების ერთიანობის ფაქტორიც და ამ თვალსაზრისით სახელმწიფო სწავლების არგუმენ-

[1] მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, 2008, გვ. 197-198.

ტთა ჩამოყალიბება შესაძლებელია. განათლების ხელმისაწვდომობა სოციალური მობილობის მნიშვნელოვანი წყაროა. ამრიგად, განათლება ყველა მოქალაქისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

თუ განათლება საზოგადოებრივი პროდუქტია, მაშინ სახელმწიფოს მისი სუბსიდირება უნდა სურდეს. თუმცა, სუბსიდირების საზღვრებს გავცდებით, როდესაც აღვნიშნავთ, რომ დაწყებითი განათლება და საშუალო სკოლა არის *არა მარტო უფასო* (ფინანსდება გადასახადის გადამხდელის მიერ) არამედ *სავალდებულოც*. ასეთი სისტემა, რომელიც ბევრ ქვეყანაში მსგავსია, მხოლოდ ეფექტიანობის საფუძველზე არ არის რაციონალური. უფრო მეტიც, რა არის ისეთი განსაკუთრებული განათლებაში, რაც მთავრობას აიძულებს, არა მხოლოდ უზრუნველყოს, არამედ აწარმოოს კიდეც იგი? ერთ-ერთი თეორიის თანახმად სახელმწიფო განათლება ადამიანურ კაპიტალს ქმნის და ამავე დროს ადამიანებს არსებული პოლიტიკური სისტემის რწმენას უნერგავს. ადამიანი საკუთარ ადამიანურ კაპიტალზე ზრუნავს, თუმცა პოლიტიკური სისტემის მიმართ რწმენიდან პირად სარგებელს არ იღებს. კერძო სკოლები კი იმით კონკურირებენ, რომ საკუთარ რესურსებს მოსწავლის ადამიანური კაპიტალის ფორმირებას ახმარენ. ამ მოსაზრების თანახმად, არსებული დემოკრატიული პროცესების მიმართულებით სახელმწიფოებრივი ერთგულების ფორმირება უფრო მარტივად ხორციელდება სახელმწიფო სასკოლო სისტემაში, რომელიც კონკურენციისგან დაცულია.

სახელმწიფო განათლების თაობაზე არსებული დებატების მთავარი საკითხია ის, თუ რამდენად საკმარისია მასზე გაწეული დანახარჯები. საინტერესოა ამაღლებს თუ არა მაღალი დანახარჯი განათლების ხარისხს?

საბოლოო ჯამში ჩვენ ვზრუნავთ არა განათლებაზე გაწეულ დანახარჯზე, როგორც ასეთზე, არამედ იმ შედეგებზე, რომლებსაც მოსწავლე განათლების საშუალებით აღწევს. ამდენად, გვესაჭიროება იმ ურთიერთობების ცოდნა, რომელიც შესყიდულ საწარმოო საშუალებებსა და წარმოებული განათლების მასშტაბს შორის არსებობს. განათლების სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების დონეებს შორის არსებული ურთიერთობის (მასწავლებელთა გამოცდილება წლების მიხედვით, მასწავლებელთა რაოდენობა თითოეულ მოსწავლეზე და ა.შ.) შეფასება საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული. სირთულის ნაწილი „განათლების“ შედეგის განსაზღვრას უკავშირდება, მის შეფასებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ადამიანური კაპიტალის ზრდის შესაფასებლად გამოიყენება საგამოცდო ტესტის ქულები, დასწრების ჩანაწერები, გარიცხულთა რაოდენობა, მაღალ კურსებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა და შრომის ბაზრის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა უმუშევრობის დონე და შემოსავლის დონე. ჰანუშეკმა [2002] იმ ურთიერთობის 376 სტატისტიკური შეფასება გამოიკვლია, რომელიც საწარმოო საშუალებათა გამოყენებისა და განათლების დონის შეფასების სხვადასხვა მექანიზმს შორის არსებობს. საწარმოო საშუალებებში შედის მასწავლებელი/მოსწავლის პროპორცია, მასწავლებლის განათლება, გამოცდილება, ხელფასი და თითოეულ მოსწავლეზე დანახარჯი. იგი გასაოცარ დასკვნამდე მივიდა: მონაცემების მიხედვით, ერთ მოსწავლეზე გაწეული შრომა მისი განათლების ხარისხზე არ მოქმედებს. დასკვნა მაინც წინააღმდეგობრივია (შანდერი, 1993). ჩნდება ასეთი კითხვა: როგორ დავთვალოთ დანახარჯი, რომელიც უნარშეზღუდული ბავშვების შედარებით მცირე ჯგუფზე იქნა გაწეული – დანახარჯი გამოხატული უნდა იყოს ფულის სახით, რომელიც საშუალოდ მოსწავლეზე დაიხარჯა?

მეცნიერები ფიქრობენ, რომ სკოლების ავკარგიანობის შესახებ „მტკიცებულების ყველაზე სწორი ინტერპრეტაცია არის ის, რომ ზოგიერთი სკოლა ეფექტიანად მოიხმარს რესურსებს, მაგრამ ეს სკოლები იმ სკოლებითაა დაბალანსებული, რომლებიც ამას ვერ ახერხებენ“. ასევე, „ვერ ვიწინასწარმეტყველებთ რომელი სკოლა იქნება ეფექტიანი, თუ უბრალოდ ჩავიხედავთ მათ ხელთ არსებული განათლების საშუალებათა ნუსხაში. იგივე მართებულია მასწავლებლების შემთხვევაში – მიუხედავად იმისა, რომ დირექტორი ყოველთვის „კარგ“ მასწავლებელს (მასწავლებლები, რომელთა მოსწავლეებიც კარგ შედეგებს უჩვენებენ) არჩევს, მოპოვებული აკადემიური ხარისხის ან მასწავლებლის გამოცდილების წლების მიხედვით კარგი და ცუდი მასწავლებლის იდენტიფიცირება ძნელდება“ [ჰანუშეკი, 2002, გვ.46].

კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესწავლამ განსაკუთრებით აღსანიშნავი შედეგი გამოიღო. როგორც აღმოჩნდა, სხვა ფაქტორებს შორის, იგი აკადემიურ მოსწრებაზე არ მოქმედებს. სასწავლო

შედეგის შეფასების პირობითი ბერკეტების პირობებში 20 მოსწავლისგან შედგენილ კლასში სწავლება 30 მოსწავლიანთან შედარებით არ არის უფრო ეფექტიანი.

ჩარტერული სკოლები. თუ განათლებაზე დანახარჯის გაზრდა სიტუაციას არ აუმჯობესებს, რა ბერკეტის გამოყენებაა შესაძლებელი? ეკონომისტები ფიქრობენ, რომ პრობლემური ბაზარი გაუმჯობესდება, თუ იგი კონკურენტულ გარემოს შეუერთდება. ეს მართებულია იმ დებატების შემთხვევაშიც, რომლებიც შეეხება ქვეყნის სკოლებში გასატარებელ ღონისძიებებს. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ სწავლის ხარისხი გაუმჯობესდება, თუ სკოლები მოსწავლეთა მოზიდვისთვის კონკურირებას დაიწყებენ. ეს არის *ჩარტერული სკოლის* მოტივაციის ერთი მხარე. აღნიშნული სკოლა სახელმწიფოა და სახელმწიფო ჩარტერის ქვეშ ფუნქციონირებს, რის გამოც სათანადო სტანდარტს იცავს, თუმცა აქვს ექსპერიმენტის ჩატარების უფლებაც, ასევე გარკვეული თავისუფლება ხარჯვის და პერსონალის დაქირავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითი არსებობს არიზონას შტატში, სადაც ჩარტერული სკოლა არჩევანის მრავალფეროვნებას და მშობელთა კმაყოფილებას ზრდის. ჩატარდა ეკონომეტრიკული კვლევები, რომლებიც ამტკიცებს, რომ თუ საჯარო სკოლა კონკურირებს ჩარტერულ სკოლასთან, მაშინ საჯარო სკოლებში სწავლის ხარისხი უმჯობესდება. ანალოგიური შედეგები აჩვენა მიჩიგანის შტატში ჩატარებულმა კვლევებმა. ფაქტობრივად დანახარჯების ზრდის გარეშე კონკურენციის შედეგად ამაღლდა სწავლების ხარისხი ორივე სახეობის სკოლაში.

ვაუჩერები. ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა გეგმებს, რომელთა მიზანი არჩევანის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი გაზრდის საფუძველზე საჯარო სკოლების ხარისხის ამაღლებაა, რაც ვაუჩერული სისტემის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. ძირითადი პრინციპია მოსწავლეთა და არა პირდაპირ სკოლის ფინანსური დახმარება. თითოეულ მოსწავლეს მიეცემა სასწავლო ვაუჩერი, რომელიც მისი ოჯახის მიერ ნებისმიერი მაღალი ხარისხის სკოლის შერჩევისთანავე განაღდდება.

თეორიის მიხედვით, განათლების ბაზარზე კონკურენციის ეფექტი ისევე სასარგებლო იქნება, როგორც სხვა ბაზრებზე. დაბალი ხარისხის სკოლებში შემსვლელთა რიცხვი შემცირდება და ისინი დაიხურება. შედეგად კი მასწავლებლის შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულება, რომელიც სახელმწიფო სასკოლო სისტემის მიერ მეტ-ნაკლებად იგნორირებულია, ცუდ მასწავლებელთა დასჯის საფუძველი გახდება. სწავლიდან გადასახადის მიღების შესაძლებლობა მეწარმეებს წაახალისებთ, ახალი სკოლები იმ ადგილებში ჩამოაყალიბონ, სადაც არსებული სკოლები დაბალი ხარისხისაა. ეს სცენარი ჭეშმარიტებასთან საკმაოდ ახლოს დგას. მოგებაზე ორიენტირებულმა კომპანია *Edison Project*-მა უკვე დააარსა 149 სკოლა 84 ათასი მოსწავლით, რომელთაც ძირითადად საჯარო საბჭოსთან აქვთ კონტრაქტი დადებული.

ასეთი სისტემის ჩამოყალიბება უამრავი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს. რა მასშტაბის თავისუფლება აქვს სკოლას სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისას? შეუძლია, თუ არა სკოლას რეკომენდაციის არმქონე მასწავლებლების დაქირავება? რა კრიტერიუმით უნდა მიიღოს სკოლამ მოსწავლეები თუ ბევრი მსურველია? შეუძლიათ თუ არა მშობლებს, დამატებითი რესურსები გადასცენ სკოლას, რომელსაც ისინი აირჩევენ, თუ ეს არღვევს თანასწორი განათლების სტანდარტს? რა წყაროდან შეიტყობენ მოსწავლეთა ოჯახები სკოლის არჩევისას სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ?

ბაზარზე ორიენტირებული სქემების კრიტიკოსები ბევრ პრეზუმციას უარყოფენ. მათგან ძირითადია ის, რომ მომხმარებლები განათლების ბაზრის თაობაზე კარგად ინფორმირებულნი არ არიან; ამდენად, კონკურენციის შედეგი ნამდვილად არ იქნება დამაკმაყოფილებელი. ამ მოსაზრების მომხრენი მიანიშნებენ საეჭვო რეპუტაციის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მომრავლებაზე, რომლებიც იმ სტუდენტებზე „ნადირობენ“, ვინც სტუდენტურ სესხს ან ვაუჩერს მიიღებს. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩამოყალიბდება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, შედარებით კარგ სტუდენტს, რომელიც უფრო სუსტს უკან ჩამოიტოვებს, ვაუჩერით სარგებლობის უფლება მიეცემა, რაც მას დაბალი ხარისხის სკოლისგან დაიცავს. სტუდენტის განათლების ხარისხი ნაწილობრივ მისი თანატოლის იმავე მაჩვენებელზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სუსტი სტუდენტი იძულებული იქნება, უფრო დაბალი ხარისხის სკოლაში ისწავლოს, ვიდრე ვაუჩერული სისტემის დანერგვამდე ისწავლიდა. მართლაც, როდესაც ჩილეში რამდენიმე წლის წინ ვაუჩერული სისტემა დაინერგა, აღმოჩნდა, რომ საჯარო სკოლიდან მაღალი შესაძლებლობების მქონე ბევრი სტუდენტი გამოვიდა [*Ladd*, 2002, 19].

ამის პასუხად არჩევანის მომხრეები შენიშნავენ, რომ ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, საჯარო სკოლის ხარისხი აშშ-ში თანდათან იკლებს. შესაძლოა ადამიანი ღარიბი იყოს, მაგ-

რამ შვილებისთვის შესაძლებლობათა მოძიება სურდეს. დღეს მრავალ ქვეყანაში სკოლებში ვაუ-ჩერული სისტემის დანერგვის მიმართულებით ექსპერიმენტები ტარდება.

უმაღლესი განათლების სუბსიდირების ერთ-ერთი რაციონალური მხარეა ის, რომ იგი გარე ეფექტს წარმოშობს. ეს არგუმენტი დაწყებითი და საშუალო სწავლების შემთხვევაში საკმაოდ დამა-ჯერებელია. ასეთი სისტემა არა მხოლოდ ზრდის ინდივიდის შრომისუნარიანობას, არამედ ამცირებს დანაშაულს, წვლილი შეაქვს განათლებული და ინფორმირებული მოსახლეობის ფორმირებაში, რაც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიის თავისუფალი ფუნქციონირებისთვის.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ უნდა მოხდეს კოლეჯში სწავლების სუბსიდირება, რადგან იგი ზრდის მწარმოებლურობას. მართლაც, საჯარო კოლეჯები და უნივერსიტეტები მოქმედი სუბსი-დიების სახით სახელმწიფოსა და ადგილობრივი მმართველობისაგან წლიურად დაახლოებით 50 მლრდ აშშ დოლარს იღებენ. ის რომ კოლეჯი ზრდის მწარმოებლურობას, შესაძლოა ჭეშმარიტებაც იყოს. მაგრამ ვიდრე კოლეჯის კურსდამთავრებულის შემოსავალი მის მწარმოებლურობას ასახავს, გარეგანი ეფექტი ფაქტობრივად არ ხორციელდება, კოლეჯის კურსდამთავრებულთა შემოსავალი მნიშვნელოვნად მაღალია მათი თანატოლების შემოსავალზე, რომელთაც კოლეჯი არ დაუმთავ-რებიათ. შრომითი რესურსების ეკონომისტები თვლიან, რომ სხვა თანაბარ პირობებში სკოლაში განათლების მიღების თითოეული წელი წლიურ შემოსავალს 5-11%-ით ზრდის. იმისათვის, რომ გარე ეფექტის არგუმენტი დამაჯერებელი იყოს, ინდივიდმა უნდა დაამტკიცოს, რომ მწარმოებლურობის შედეგი ამ დიფერენცირებას აჭარბებს.

ეს მტკიცებულებაც კი ვერ ასაბუთებს მიმდინარე პროგრამის ფორმას, რომელიც ყველა უფ-ლებამოსილი სტუდენტის სუბსიდირებას ერთი და იმავე განაკვეთით ახორციელებს. არის თუ არა კოლეჯის ტრენინგის შედეგად მიღებული ყველა სახის გარე ეფექტი თანასწორი - ახორციელებენ თუ არა ერთნაირ გარე ეფექტს ხელოვნების ისტორია, ბუღალტერია, სამდიცინო კურსები? თუ ასე არ არის, მაშინ ეფექტიანობა მათ განსხვავებული განაკვეთით სუბსიდირებას მოითხოვს.

არსებობს დაკვირვება, რომ სუბსიდიების შემცირების შემთხვევაში კოლეჯში სტუდენტთა შემცირებული ოდენობა სწავლობს. ეს შესაძლოა ასეც იყოს, თუმცა სუბსიდიის რაციონალობას არ ასაბუთებს. თუ სუბსიდიას იღებს ახალგაზრდა, რომელსაც სურს ავტოშემკეთებელი საამქროს გახ-სნა, მაშინ სუბსიდიების შემცირების შემთხვევაში საამქროების ოდენობაც შემცირდება. რატომ უნდა ვეპყრობოდეთ განსხვავებულად პოტენციურ მანქანის მექანიკოსსა და პოტენციურ კლასიკოსს?

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ კოლეჯის სტუდენტებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიების შემცირების შემთხვევაში ყველაზე მტკივნეული დარტყმა შედარებით ღარიბი ოჯა-ხიდან გამოსულ სტუდენტს მიადგება, რადგან მისთვის კერძო სექტორიდან სესხის აღება განსაკუთ-რებით ძნელი იქნება. მეტად რთულია ადამიანური კაპიტალის ინვესტირებისთვის აუცილებელი სეს-ხისთვის გირაოს უზრუნველყოფა; ამდენად, ასეთი სესხების ბაზართა მატერიალიზაცია შეუძლე-ბელია. ბაზრის არარსებობით გამოწვეული პრობლემის გამოსწორება შეიძლება, თუ სახელმწიფო ხელმისაწვდომს გახდის სესხებს სარგებლის მიმდინარე განაკვეთით. არ არსებობს ეფექტიანობის საფუძველი, რომელიც დაასაბუთებდა სარგებლის განაკვეთის სუბსიდირების რაციონალობას, თუ არ განხორციელდება დადებითი გარე ეფექტი.

<u>კეთილდღეობის ეკონომიკა აღიარებს, რომ არაეფექტიანი პროგრამა შესაძლოა დასაბუთდეს, თუ იგი განაწილების „სასურველ“ შედეგს ქმნის</u>. კოლეჯის სტუდენტებისთვის მინჭებული სუბსიდია მისთვის გადამხდელის, როგორც მთლიანი ჯგუფის, ტრანსფერტია. თუ სტუდენტს შევხედავთ, როგორც იმ ოჯახის ნაწილს, რომელშიც იგი გაიზარდა, მაშინ მართლა დავინახავთ, რომ სასწავლო დახმარების პროგრამები შემოსავლის თანასწორობას ზრდის. ფედერალური დახმარების მიღების ალბათობა ოჯახის შემოსავლის ზრდასთან ერთად იკლებს. თუმცა, როდესაც კოლეჯში შემსვლელ-თათვის ტარდება სწავლების ღირებულების შესახებ სტატისტიკური ანალიზი, რომელიც სტუდენტ-თა შესაძლებლობის შეფასებას ითვალისწინებს, სწავლების გადასახადისა და ოჯახის შემოსავლის მნიშვნელობა არსებითად მცირდება.

სუბსიდირებული სესხები და პირდაპირი გრანტები სტუდენტებისა და კოლეჯებისთვის დიდი დახმარებაა. მათ შენარჩუნებას ორივე მათგანი ინტენსიურად ლობირებს. გარე ეფექტის არსებობის დამაჯერებელი მტკიცებულების გარეშე კი საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის სარგებელი ბუნდოვანია.

საქართველოში განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. სახელმწიფომ 2015 წლიდან უფასო სწავლებას უზრუნველყოფს 21 სპეციალობის მიხედვით. **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** მოწოდებულია, საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ეს გარემო ეფუძნება არჩევანის თავისუფლებისა და თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. დღეისათვის საქართველოში მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესი გამკაცრებული კრიტერიუმებით.

საქართველოს განათლების სისტემა ასახულია მოცემულ სქემაზე 7.1.[1]:



საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (მიღებულია 2004 წლის 21 დეკემბერს) განსაზღვრავს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

[1] https://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo

საქართველოში უმაღლესი განათლება სამი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არანაკლებ 240 კრედიტისგან.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. სწავლების მესამე საფეხური (დოქტორანტურა) შედგება არანაკლებ 180 კრედიტისაგან. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები

საქართველოში მოქმედებს **სამი სახის უმაღლესი** საგანმანათლებლო დაწესებულება:

- **უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს
- **სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.
- **კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს[1].

უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა **უნივერსიტეტებისა და სახელმწიფოს** ურთიერთდამოკიდებულება. ყველა ქვეყანაში დაობენ იმის თაობაზე, თუ რა უფ-

[1] https://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo

ლებებით უნდა სარგებლობდნენ ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლები და სახელმწიფომ უნდა მართოს თუ არა ისინი სტანდარტებით.

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფომ უნდა მისცეს უმაღლეს სასწავლებლებს თვითმართვის უფლება, რადგან სასწავლო დაწესებულების განვითარება საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვით ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. ეს კი საშუალებას მისცემს მას გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი მექანიზმის გზით განსაზღვროს ცვლილებები სასწავლო პროცესში, მაგრამ როდესაც საქმე ეხება აკადემიური სტანდარტების დაცვას, სახელმწიფომ იურიდიულად უნდა აკონტროლოს დამოუკიდებელი სასწავლებლები.

2020 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს 31 უნივერსიტეტი, 21 სასწავლო უნივერსიტეტი, 4 კოლეჯი და 8 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება[1].

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (მიღებულია 2007 წლის 28 მარტს) ადგენს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, განსაზღვრავს პროფესიული განათლების სახეებს, საფეხურებსა და დაფინანსების პრინციპებს. ამ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ორი სახე**: პროფესიული კოლეჯი და საზოგადოებრივი.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები[2].

პროფესიული კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს (იხ. სქემა 7.1).

2020 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს 18 ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი, 7 სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი და 41 ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი.

საქართველოში ამ სისტემის ერთ-ერთი გამოწვევაა პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების თანამედროვე ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტების მოსამზადებლად რეალური სამუშაო გარემოს შესაბამისად, თანამედროვე ან მომავალში საჭირო ტექნოლოგიებისა და მოთხოვნების მიხედვით.

საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ (მიღებულია 1994 წლის 22 ნოემბერს) ქმნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს, რაც ქვეყნის ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პროგრესის და კეთილდღეობის საწინდარია.

სახელმწიფო აღიარებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას. იგი უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ ნაწილთა, განვითარებას და სამეცნიერო კვლევას შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად მიიჩნევს.

ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისთვის მოწინავე ქვეყნებში ცდილობენ ბიზნესში დასაქმებული მკვლევარების წილის ზრდას. ასე, მაგალითად, „ეკ 27-ში მკვლევართა 45%-ია დასაქმებული კერძო სექტორში აშშ-ში ეს მაჩვენებელი 78%-ია, ჩინეთში - 62%, ხოლო იაპონიაში - 74%“[3].

---

[1] https://www.mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

[2] https://www.mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo

[3] Support for continued data collection and analysis concerning mobility patterns and career paths of researchers, Deliverable 8 – Final report MORE2 Prepared for: European Commission Research Directorate-General Directorate B –

ასევე, „სამუშაო ძალაში ევროკავშირში ყოველ 100 კაცზე 6 მკვლევარია, როცა იგივე მაჩვენებელი აშშ-ში არის 9, ხოლო იაპონიაში – 11. ზრდის ტენდენციით ხასიათდება უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯების წილი, რაც ევროკავშირში საშუალოდ მშპ-ის 1,3%-ია, აშშ-ში - 2,7%, ხოლო იაპონიაში - 1,5%“[1].

თემაში განხილული მაჩვენებლები და სათანადო სტატისტიკური ინფორმაცია შესაძლებელია იხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე (www.geostat.ge).

ძირითადი ტერმინები:

განათლება	ჩარტერული სკოლები
ვაუჩერი	საჯარო სკოლები
უმაღლესი განათლება	პროფესიული განათლება

შეკითხვები გამეორებისთვის:

1. შეაფასეთ განათლებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა;
2. ახსენით სახელმწიფოს საგანმანათლებლო ფუნქციები;
3. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ განათლება და სოციალური ოპტიმუმი;
4. დაახასიათეთ განათლების ეკონომიკური პრობლემები;
5. დაახასიათეთ საჯარო სკოლების მართვის პრობლემები;
6. ისაუბრეთ უმაღლესი განათლების მართვის პრობლემებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე შ., სახელმწიფოს როლი განათლებაში, http://videochannel.iliauni.edu.ge
2. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, 2008, გვ. 197-198.
3. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006, გვ. 77-84; 115-117.
4. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Supporting growth and jobs – an agenda for the modernization of Europe's higher education systems {SEC(2011) 1063 final}. Brussels, 20.9.2011, COM(2011) 567 final. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0567&from=EN გვ. 2;8.
5. Support for continued data collection and analysis concerning mobility patterns and career paths of researchers, Deliverable 8 – Final report MORE2 Prepared for: European Commission Research Directorate-General Directorate B – European Research Area, Brussels, August 2013, გვ.7 https://cdn4.euraxess.org/sites/default/files/policy_library/final_report_0.pdf
6. www.geostat.ge
7. www.mes.gov.ge
8. http://literatura.mcvane.ge/main/literatura/biografia/317

European Research Area, Brussels, August 2013, გვ.7
https://cdn4.euraxess.org/sites/default/files/policy_library/final_report_0.pdf

[1] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Supporting growth and jobs – an agenda for the modernization of Europe's higher education systems {SEC(2011) 1063 final}. Brussels, 20.9.2011, COM(2011) 567 final. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0567&from=EN გვ. 2;8.